სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	სამართალი
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი დიმიტრი გეგენავა
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის დოქტორი/Doctor Juris/Doctor of Law (Ph.D.)
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	52 ECTS
პროგრამის დამტკიცების თარიღი და ოქმის ნომერი	26.04.2021 №05-21
პროგრამის განახლების თარიღი და ოქმის ნომერი	11.02.2024 №01-24

პროგრამის მიზანი

სამართლის სადოქტორო პროგრამის მიზანია:

(A) სამართლის პრაქტიკისა და თეორიის აქტუალურ საკითხებზე სიღრმისეული სამეცნიერო ანალიზი, შედეგზე ორიენტირებული კვლევა და ახალი ცოდნის შექმნა;
(B) სამართლის დინამიკურ გამოწვევებზე ორიენტირებული მკვლევრებისა და აკადემიური პერსონალის მომზადება;
(C) მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომების შექმნით ქართული და შედარებითი სამართლის განვითარებაში წვლილი შეტანა.

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებული:
(A) განსაზღვრავს თანამედროვე სამართლის აქტუალურ საკითხებს, მათი კვლევის საჭიროებას, კვლევის შესაბამის მეთოდებსა და მოსალოდნელ შედეგებს;
(B) იკვლევს სამართლის პრობლემურ საკითხებს, შეიმუშავებს საკუთარ ორიგინალურ, კომპლექსურ და სიღრმისეულ დასკვნებს;
(C) გეგმავს და ატარებს ლექციებსა და სემინარებს სწავლების თანამედროვე და უახლესი მეთოდების გამოყენებით;

(D) მონაწილეობს სამეცნიერო-კვლევით და აკადემიურ დისკუსიებში სამართლისა და სამართალთან დაკავშირებული ინტერდისციპლინური სფეროების მიმართულებით,

(E) შედარებითსამართლებრივი მეთოდოლოგიის, სამართლის პირველადი და მეორეული წყაროების ანალიზის საფუძველზე ქმნის და აქვეყნებს მაღალი დონის საკვალიფიკაციო და აკადემიურ ნაშრომებს;

(F) აკადემიური კეთილსინდისიერების გააზრებითა და დაცვით, იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ და თავისი ხელმძღვანელობით ჩატარებულ კვლევასა და შექმნილ აკადემიურ ნაშრომებზე, წვლილი შეაქვს ქართული და შედარებითი სამართლის განვითარებაში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სამართლის მაგისტრი აკადემიური ხარისხი. თუკი სამართლის მაგისტრის ხარისხი მოპოვებულია 120 ECTS კრედიტზე ნაკლები სამაგისტრო პროგრამის გავლის საფუძველზე, მაშინ აუცილებელია კანდიდატს ჰქონდეს სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხიც.

სადოქტორო პროგრამაზე დაშვებისათვის აუცილებელია დარგობრივ კომისიასთან გასაუბრება და ინგლისური/გერმანული ან ფრანგული ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობა. სადოქტორო პროგრამაზე დაშვების სხვა წინაპირობები, ასევე, სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მაძიებლის დარგობრივი კომისიის მიერ შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება დოქტორანტურის დებულებით.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. მობილობის მსურველმა უნდა დააკმაყოფილოს სადოქტორო პროგრამაზე დაშვებისათვის სავალდებულო ყველა წინაპირობა.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.

ინგლისური/გერმანული/ფრანგული ენის ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური/გერმანული/ფრანგული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ასევე კანდიდატი, ვისაც ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენაზე გავლილი აქვს ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სრული ან არასრული კურსი. სერტიფიკატისა და კურსების გავლის აღიარებას უზრუნველყოფს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ენების ცენტრი.

ინგლისური ენის B2 დონის შესაბამისი სერთიფიკატებისა და ქულების ნუსხა	
ტოიფელი (TOEFL PBT)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 513 ქულა
ტოიფელი (TOEFL IBT)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 65 ქულა
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam)	ცოდნის დონე: არანაკლებ FCE

გერმანული ენის B2 დონის შესაბამისი სერთიფიკატებისა და ქულების ნუსხა
Goethe Zertifikat B2; TestDaF B2; DSH Certificate B2; Telc Deutsch B2; TestAS B2

ფრანგული ენის B2 დონის შესაბამისი სერთიფიკატებისა და ქულების ნუსხა
Delf B2; TCF B2; TEF B2; DLC B2; Dalf C1

სწავლება-სწავლის მეთოდი

☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ პრაქტიკული მუშაობა ☒ სემინარი ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება

☐ ელექტრონული სწავლება ☐ სხვა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სამართლის სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. სამართლის სადოქტორო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას (კონკრეტული კურსი შესაძლებელია სხვა პრინციპზე იყოს აგებული), რომელთა ჯამიც საბოლოო შეფასებაა (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სამართლის სადოქტორო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:	
(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო

შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სადოქტორო ნაშრომის (დისერტაციის) შეფასება

დისერტაციის შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება.

დისერტაციის დადებითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:

ა. ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – 91 ქულა და მეტი (მაქს. 100 ქულა);

ბ. ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – 81-90 ქულა;

გ. კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - 71-80 ქულა;

დ. საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს – 61-70 ქულა;

ე. დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – 51-60 ქულა;

დისერტაციის უარყოფითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:

ა. არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – 41-50 ქულა;

ბ. სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – 40 ქულა და ნაკლები.

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დისერტაცია მიიჩნევა დაცულად.

არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. ამ მიზნით, მას უფლება აქვს შედეგის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს წარუდგინოს განცხადება ნაშრომის გადამუშავებისა და დისერტაციის განმეორებითი დაცვის მოთხოვნით.

სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას და უწყდება დოქტორანტის სტატუსი.

დასაქმების სფერო

სამართლის დოქტორის დასაქმების სფერო მრავალფეროვანია. იმ დაწესებულებებისა და უწყებების გარდა, სადაც შესაძლებელია სამართლის მიმართულებით ერთ-ერთი კვალიფიკაციის ქონის შემთხვევაში დასაქმება, სამართლის დოქტორს დამატებით ეხსნება გზა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (ასისტენტ-პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე), კვლევით ორგანიზაციებში, საერთაშორისო აკადემიურ გაერთიანებებში. დოქტორის აკადემიური ხარისხი ავტომატურად ათავისუფლებს სანოტარო გამოცდისგან და კანონით დადგენილი სხვა წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სამართლის დოქტორს შეუძლია უგამოცდოდ გახდეს ნოტარიუსი.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამართლის დოქტორს შეუძლია პოსტ-სადოქტორო პროგრამებში აქტიური მონაწილეობა, პოსტ-სადოქტორო კვლევითი და სასწავლო გრანტების მოპოვება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, ისარგებლოს ექსკლუზიურად პოსტ-დოქტორებისა და ახალგაზრდა მკვლევრებისთვის უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო ფონდების მიერ დაწესებული გრანტებითა და სტიპენდიებით.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

სამართლის სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
იმიტირებული სასამართლო დარბაზი;
კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სამართლის სადოქტორო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს სასწავლო უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვლომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და ეროვნული და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (საკანონმდებლო მაცნე, EBSCO, HeinOnline, Westlaw). უნივერსიტეტის ბიბლიო-თეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. ცენტრალური სამკითხველოს გარდა, სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ დავით ბატონიშვილისა და ძმების ზუბალაშვილების სამკითხველო კაბინეტებითაც.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - სამართლის სადოქტორო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს სამართლის სადოქტორო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის სტრუქტურა

სამართლის სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისგან. სასწავლო კომპონენტის მოცულობა 56 ECTS კრედიტია, რომელიც შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან. სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების ჯამური მოცულობაა 46 ECTS, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსებისა - 10 ECTS. სასწავლო კურსები გადანაწილებულია 3 სემესტრზე, დოქტორანტმა პირველ სემესტრში უნდა დააგროვოს 15, მეორე სემესტრში - 26, ხოლო მესამე სემესტრში - 15 ECTS კრედიტი.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი გულისხმობს სადოქტორო დისერტაციის შესრულებას. სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე მუშაობისას დოქტორანტი ასრულებს სამ კოლოკვიუმს, რაც გულისხმობს სამეცნიერო-ხელმძღვანელთან წინასწარი შეთანხმებით დისერტაციის ნაწილის დამუშავებას, დაწერასა და დარგობრივი კომისიის წინაშე განხილვას. თითოეული კოლოკვიუმის დაცვისას დოქტორანტმა უნდა მიიღოს დადებითი რეკომენდაცია, რაც გულისხმობს დარგობრივი კომისიის უმრავლესობის მიერ კოლოკვიუმის დადებით შეფასებას. კოლოკვიუმის შესრულებისას დოქტორანტს არ ენიჭება კრედიტი და არ ფასდება რაიმე ქულით.

სადოქტორო ნაშრომის დაცვა შესაძლებელია მე-6 სემესტრში. სადოქტორო ნაშრომის დაცვასთან, ასევე, მის წინაპირობებთან და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება სულხან-საბა ორბელიანის რექტორის მიერ დამტკიცებული „სულხან-საბა ორბელიანის დოქტორანტურის დებულებით“.

სადოქტორო პროგრამაზე მობილობით ჩარიცხულ სტუდენტს არჩევით სასწავლო კურსებში, 10 კრედიტის ფარგლებში შეიძლება უღიარდეს ამ სასწავლო პროგრამით გაუთვალისწინებელი სასწავლო კურსიც, რომლის მიზნები და შედეგები შეესაბამება სადოქტორო სწავლების საფეხურს. მობილობის მსურველის მიმართ მოქმედებს სამართლის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

№	წინაპირობა	მოდული/საგანი	ECTS კრედიტი						სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
			I წელი II წელი III წელი						სკონტაქტო სათები	დამოუკიდებელი სათები
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI		
სასწავლო კომპონენტი										
სავალდებულო სასწავლო კურსები										
1.	არ გააჩნია	კვლევის მეთოდები სამართალში	5/125						48	77
2.	არ გააჩნია	აკადემიური წერა და დისერტაციის არქიტექტონიკა		10/250					40	210
3.	არ გააჩნია	სწავლების თანამედროვე მეთოდები		6/150					33	117
4.	სწავლების თანამედროვე მეთოდები	პროფესორის ასისტენტობა			5/125				11	114
5.	კვლევის მეთოდები სამართალში	კვლევითი სემინარი სამართლის მეთოდებში		10/250					8	242
6.	კვლევის მეთოდები სამართალში	კვლევითი სემინარი შედარებით სამართალში			10/250				8	242

არჩევითი სასწავლო კურსები										
1.	არ გააჩნია	საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპები	10/250						33	217
2.	არ გააჩნია	კვლევითი პროექტის დაგეგმვა და მართვა[1]	10/250						35	215
		სემესტრში	15	26	15					
		წელიწადში	41		15					
		სულ	**56**							

[1] სადოქტორო პროგრამის სამიზნე ნიშნულების მიღწევად ჩაითვლება სადოქტორო ნაშრომის წარმატებით დაცვა.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის მიზნები	პროგრამის შედეგები					
	A	B	C	D	E	F
სამართლის პრაქტიკისა და თეორიის აქტუალურ საკითხებზე სიღრმისეული სამეცნიერო ანალიზი, შედეგზე ორიენტირებული კვლევა და ახალი ცოდნის შექმნა	√	√			√	
სამართლის დინამიკურ გამოწვევებზე ორიენტირებული მკვლევრებისა და აკადემიური პერსონალის მომზადება				√		
მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომების შექმნით ქართული და შედარებითი სამართლის განვითარებაში წვლილი შეტანა.			√		√	√

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

№	მოდული/საგანი	კურსის სტატუსი		პროგრამის სწავლის შედეგები					
				A	B	C	D	E	F
1.	კვლევის მეთოდები სამართალში	D	M	+	+			+	
2.	აკადემიური წერა და დისერტაციის არქიტექტონიკა	M		+				+	+
3.	სწავლების თანამედროვე მეთოდები	M				+			
4.	პროფესორის ასისტენტობა	D	M			+			
5.	კვლევითი სემინარი სამართლის მეთოდებში	M		+	+		+	+	+
6.	კვლევითი სემინარი შედარებით სამართალში	M		+	+		+	+	+

კურსის სტატუსი

I – შესავალი კურსები (Introduction)	D - განმავითარებელი კურსები (Developing)	P - პრაქტიკული კურსები (Practical)	M- დაოსტატების კურსები (Master)

პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკა

№	საგანი	სწავლის შედეგები		
		ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
	სავალდებულო სასწავლო კურსები			
	სავალდებულო სასწავლო კურსები			
1.	კვლევის მეთოდები სამართალში	+	+	
2.	აკადემიური წერა და დისერტაციის არქიტექტონიკა	+	+	+
3.	სწავლების თანამედროვე მეთოდები	+	+	
4.	პროფესორის ასისტენტობა	+	+	+
5.	კვლევითი სემინარი სამართლის მეთოდებში	+	+	+
6.	კვლევითი სემინარი შედარებით სამართალში	+	+	+
	არჩევითი სასწავლო კურსები			
7.	საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპები	+	+	
8.	კვლევითი პროექტის დაგეგმვა და მართვა	+	+	